



12.03.2013

# "ხალხმა ცვლილებებისთვის აგირჩიათ!"

სტატიები



ეკა მაღალაძე

შეუერთდი განხილვას

გარემოსდამცველები და მოქალაქეები დღეს ენერგეტიკის სამინისტროსთან ყაზბეგში ჰესების მშენებლობას აპროტესტებდნენ. აქცია-ბრიფინგი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდისა“ და „გრინფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფის ორგანიზებით გაიმართა.

აქციის მონაწილეები ენერგეტიკის სამინისტროს მეორე ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობაზე დადებული მემორანდუმის გაუქმებას, დარიალის ხეობაში მიმდინარე პროექტებში ცვლილებების შეტანას და წინა ხელისუფლების პერიოდში ამ სფეროში ჩადენილი კანონდარღვევების გამოძიებას ითხოვდნენ.

„სტეფანწმინდის“ წარმომადგენელი შოთა ბუჩუკური ამბობს, რომ ენერგეტიკული თვალსაზრისით, თითქმის უმნიშვნელო, 6-მეგავატიანი ჰესის აშენების გამო უნიკალური ხეობის, ბუნების ძეგლის განადგურება დაუშვებელია.

„ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ პროცესი უკვე დაწყებულია და ხდის ჰესის მშენებლობას ვერ შეაჩერებს, რას ნიშნავს პროცესი დაწყებულია, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ჯერ არ გაცემულა. მით უმეტეს, თუ არსებობს პოლიტიკური ნება, მათ თავისუფლად შეუძლიათ ეს გააკეთონ, იმის ნაცვლად, რომ შპს „ფერის“ ინტერესებს ლობირებდნენ. მივმართავთ ენერგეტიკის სამინისტროს, თავი შეიკავოს ამ და სხვა განცხადებებისგან, რომლებითაც პირდაპირ ახდენს ზეწოლას გარემოს დაცვის სამინისტროზე, რომ მან დადებითი ეკოლოგიური დასკვნა გასცეს,“ - ამბობს ბუჩუკური. მისი განმარტებით, ამგვარი პროექტების დაგეგმვა და მშენებლობა მხოლოდ მას შემდეგ უნდა ხდებოდეს, რაც შემუშავდება ქვეყანაში ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

„გრინფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფის ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, რომ ისინი სამინისტროსგან წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას მოითხოვენ. „წინასაარჩევნო დაპირება, რომ აიკრძალება დიდი ჰესების მშენებლობა და მცირე ჰესები კი აშენდება ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისად, არ სრულდება. გასაგებია, რომ არსებობს წინა მთავრობის მიერ გაფორმებული მემორანდუმები, მაგრამ მისი გაუქმება პოლიტიკური ნებისა და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია,“ - მიიჩნევს ჩხარტიშვილი.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ კოორდინატორი დათო ჭიპაშვილი განმარტავს, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში კომპანიის მიერ წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში პრაქტიკულად ფორმალური ხასიათისაა. „ანგარიშში არაა მითითებული კონკრეტული დეტალური კვლევები, არც სათანადო ზიანის შემარბილებელი ღონისძიებები. მსგავსი სახის პროექტზე დადებითი ეკოლოგიური დასკვნის გაცემა თავისთავად არ იქნება სწორი. ჩვენ სწორედ იმას მოვითხოვთ, რომ რომ პროექტები შეჩერდეს, სანამ ამ საკითხებს სათანადოდ არ შეისწავლიან,“ - ამბობს ჭიპაშვილი.

გარემოს დაცვის სამინისტროში ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგეთა თუ მომხრეთა 20-მდე განცხადებაა შესული. წარდგენილია საინიციატივო ჯგუფის მიერ შეგროვებული ხელმოწერებიც, რომელთა ავტორებიც ჰესის აშენებას ემხრობიან. დათო ჭიპაშვილის განმარტებით, ამგვარი განცხადება თუ მოთხოვნა გაუგებარი და არარელევანტურია. „რა ზეგავლენა უნდა მოახდინოს მომხრეთა ხელმოწერებმა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შინაარსზე. ექსპერტიზა გარემოსთვის მოსალოდნელ ზიანს იკვლევს და არა მომხრე-მოწინააღმდეგეთა რაოდენობას. თუ ფაქტია, რომ ჰესი გარემოს ზიანს მიაყენებს, ხელმოწერები არაფერს ცვლის.“

ნინო მარსაგიშვილი წარმოშობით ყაზბეგიდანაა. მისი თქმით, ამ აქციაში მონაწილეობით იმ ნგრევას ეწინააღმდეგება, რომელიც ყაზბეგში მიმდინარეობს „ყველაფერი ხალხის აზრის იგნორირებით ხდება. გვინდა, რომ საშუალება მოგვეცეს, ეს ხელუხლებელი ბუნება ასევე შევინახოთ. ეს უნდა ხალხსაც, ეს აინტერესებთ ტურისტებსაც. ის, რომ აქ 30-მდე ადამიანი დასაქმდება, რეგიონს კეთილდღეობას ვერ მოუტანს. მიზეზული მატერიალური შემოსავლების ფასად კი ხეობების განადგურება არ გვიღირს. ეს შემოსავალი ხომ ზიანს არ აღემატება. გვკითხონ, სინამდვილეში რა გვირჩევნია,“ - ამბობს მარსაგიშვილი.

აქციის მონაწილე იმასაც იხსენებს, როგორ ხდებოდა მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება. „ზოგს ეუბნებოდნენ, რომ ჰესები პატრიარქის კურთხევით შენდება, ზოგს კიდევ - რას და შეიძლება ასე შეგროვდა ეს რაოდენობაც, ისე კი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მშენებლობის აშკარა წინააღმდეგია.“

**„არა ნგრევას!“ „შეწყვიტეთ ზეწოლა გარემოს დაცვის სამინისტროზე!“ „ხალხმა ცვლილებებისთვის აგირჩიათ!“ - ორგანიზატორებმა რამდენჯერმე მოუწოდეს ენერგეტიკის სამინისტროს ახალ შემადგენლობას, გადახედონ და შეაჩერონ არსებული და დაგეგმილი პროექტების განხორციელება.**

თბილისის მკვიდრია მარინა მჭედლიშვილი, რომელმაც აქციის შესახებ სოციალური ქსელით შეიტყო და გადაწყვიტა საკუთარი პროოტესტიც გამოეხატა. „არ მინდა, რომ გაუაზრებლად და ნაჩქარევად, რამდენიმე დღეში თუ თვეში განადგურდეს ის უნიკალური ეკოსისტემა, რომლის აღდგენასაც საუკუნეები დასჭირდება, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელი იქნება.“

სამინისტროში წარდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების საჯარო განხილვა სამინისტროში ხვალ, 13 მარტს შედგება



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

**Comment**

Facebook social plugin